

ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში N7 - ინტერნეტ ბანკი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. შეიცვალოს 5.26 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გაიაქტიუროს **SOLO** (მათ შორის **SOLO X**) ანგარიშთა პაკეტი და იმეილ ბანკი.“
2. დაემატოს 5.27 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„შეასრულოს **გადახდ(ებ)ი ბანკის** მიერ ემიტირებული ბარათის საბარათე ანგარიშის საშუალებით;“
3. დაემატოს 5.28 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„აღადგინოს **PIN კოდი**; ბარათის **PIN კოდი** იგზავნება **კლიენტის ბანკში** დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე.“
4. დაემატოს 5.29 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გააუქმოს **ბარათის** (მათ შორის **ციფრული ბარათის**) შეკვეთის **განაცხადი**: შესაძლებელია ისეთი **ბარათის** გაუქმება, რომელიც არ წარმოადგენს **ანგარიშზე** არსებულ უკანასკნელ **ბარათს** და ამასთანავე **ბარათი**: ა) დამზადდა და ჯერ არ გააქტიურებულა.ბ) აქტიურია; **ბარათის** შეკვეთის განაცხადის გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ **ბარათის** შეკვეთა მოხდა **მობილ ბანკით/ინტერნეტ ბანკით** და **ბარათი** ჯერ არ დამზადებულა.“
5. დაემატოს 5.30 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**ანგარიშის** დახურვა : შესაძლებელია ისეთი **ანგარიშის** დახურვა რომელიც არ წარმოადგენს/წარმოადგენდა: ა) **საბარათე ანგარიშს**; ბ) **საანაზრე ანგარიშს**; გ) თუ **ანგარიში** არ წარმოადგენს კლიენტის ბოლო **ანგარიშს** (ლარში)“
6. დაემატოს 5.31 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გამოიყენოს SWIFT თრეკერი;“
7. დაემატოს 5.32 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მიიღოს ინფორმაცია **SOLO** ბანკირის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);“
8. დაემატოს 5.33 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„გააქტიუროს **ბარათის** ადგილზე მიტანის სერვისის ფარგლებში შეკვეთილი **ბარათი**.“
9. დაემატოს 6.15 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„**PIN კოდის** აღდგენა
10. დაემატოს 6.16 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“**ბარათის** განბლოკვა“